**ბრძანება №1-17**

გორი 27 03 2024წ.

**სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №09-07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის", „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 ნოემბრის N7-28 გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (25.03.2024, N353027), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (27.03.2024, N360048) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (21.03.2024, N338358) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 8 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 27 მარტს.

4. დოკუმენტაციის წარმოდგენა დაიწყოს 2024 წლის 29 აპრილიდან და დამთავრდეს 2024 წლის 08 მაისს 17 საათზე, ხოლო კონკურსი ჩატარდეს 2024 წლის 16 მაისს.

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი ბეჭდვითი ფორმით (წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად შედგენილი);

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი /სილაბუსები/ (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ამონაბეჭდი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

ზ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ი) 2 ფოტოსურათი ზომით 3x4;

კ) სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

6. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ამაღლებული კვალიფიკაციები; უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; უნივერსიტეტების სამეცნიერო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხელმძღვანელობა და სხვა).

7. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მის.: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, ოთახი 118.

8. ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 02 ოქტომბრის N1-64 ბრძანებით შექმნილ საარჩევნო კომისიას.

9. განცხადება (დანართი 2) კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

10. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2024 წლის 20 მაისიდან.

11. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

12. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

13. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA LEPL GORI STATE UNIVERSITY 218076542

**დანართი 1**

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

---

(სახელი, გვარი, მისამართი)

## გ ა ნ ც ხ ა დ ება

მსურს, მონაწილეობა მივიღო სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ---------- ფაკულტეტზე ---------- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებას და აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს.

თანახმა ვარ, უნივერსიტეტმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განახორციელოს ჩემი იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც აუცილებელია კონკურსის მიზნებისათვის, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის პერიოდში.

ხელმოწერა: ----------

თარიღი: ------

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ.ფოსტა:

# განცხადება

(სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის შესახებ)

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხადდება კონკურსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 8 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმდინარეობს **2024 წლის 29 აპრილიდან 2024 წლის 08 მაისის 17 საათამდე** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში, მის.: ქალაქი გორი, ილია ჭავჭავაძის 53, ოთახი 118, ტელ.: 0 (370) 27 26 16, ხოლო კონკურსი ჩატარდება **2024 წლის 16 მაისს.**

კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება **2024 წლის 20 მაისიდან.**

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი ბეჭდვითი ფორმით (წინამდებარე განცხადების დანართი 1-ის შესაბამისად შედგენილი);

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი /სილაბუსები/ (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებეული ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ამონაბეჭდი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

ზ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ი) 2 ფოტოსურათი ზომით 3x4.

კ) სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ამაღლებული კვალიფიკაციები; უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; უნივერსიტეტების სამეცნიერო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხელმძღვანელობა და სხვა).